სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა
და
სსიპ - საქართველოს შსს აკადემიას
შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. თბილისი **27 სექტემბერი, 2018 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის - **ნათია ზაალიშვილის** სახით, და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს შსს აკადემია, წარმოდგენილი აკადემიის რექტორის - **ივანე პაპიაშვილის** სახით (შემდგომში - მხარეები):

ითვალისწინებენ რა, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად საარჩევნო კულტურის განვითარების მნიშვნელობას,

იზიარებენ რა, არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის ხელშესაწყობად შესაბამისი სწავლებების/ტრენინგების აუცილებლობას,

ხელმძღვანელობენ რა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპებით,

აღიარებენ რა, თითოეული მოქალაქის უსაფრთხო საარჩევნო გარემოში მონაწილეობის მნიშვნელობას,

გამოხატავენ თანამშრომლობის სურვილს და დებენ მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი
მემორანდუმი მიზნად ისახავს ხელი შეეწყოს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თითოეული ამომრჩევლის, არჩევნებში ჩართული სხვა მხარეების როლის მნიშვნელობის საკითხებსა და საკანონმდებლო მექანიზმებზე.

მუხლი 2. მემორანდუმის ამოცანები
მემორანდუმის მიზნების გათვალისწინებით მხარეები თანხმდებიან, კომპეტენციის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობით უზრუნველყონ:
ა) საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების/მასალების შემუშავება;
ბ) საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების განხორციელება;

გ) ტრენერების, ექსპერტების ჩართვა მხარეთა მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამებში;

დ) თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერა;

ე) საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, მხარეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით;

ვ) სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედება

მემორანდუმი მხარეებისათვის არ წარმოშობს რაიმე ფინანსურ ვალდებულებებს.

მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან განუსაზღვრელი ვადით.

მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობით, წერილობითი ფორმით.

მემორანდუმი შესაძლოა გაუქმდეს რომელიმე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან ერთი თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების მომენტისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

ნათია ზაალიშვილი	**ივანე პაპიაშვილი**
დირექტორი	**რექტორი**
სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	სსიპ - საქართველოს შსს აკადემია